



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



საქართველოს ჰაილანდის  
ჯორჯიული ბიბლიოთეკა

იროდიონ ევდოშვილი  
(ხოსიტაშვილი)

კრებული  
(პოეზია)

იროდიონ ევდოშვილი (ხოსიტაშვილი)  
კრებული  
პოეზია

## მხოლოდ ნაღველი სამუდამოა

საღამო არის. მწვანე ფოთლებზე სძინავს ნიავსა, დღე იწურება; უკანასკნელი კვდება მზის სხივი, მთა ცის სივრცეში გაიყურება. აღმოსავლეთით გამოჩნდა მთვარე, მოსდევს ვარსკვლავი - პირის ფარეში; ასე სდარაჯობს სატრფო საყვარელს, სდარაჯობს ცელქსა ტურფა ღამეში, იცრება სიო. ველმა გულ-მკერდი აივსო ნამით, სწოვს სიცოცხლესა, რომ განთიადზე ნეტარსურნელი მან დააპკუროს მომავალ დღესა. დიად, ღამეს დღე ისევ მოჰყვება, მზე გაბადრული ისევ ამოვა, ღამეს დღე შესცვლის, დილას - საღამო, მხოლოდ ნაღველი სამუდამოა!

აჰა, აივსო ცა ვარსკვლავებით, აენტო ხომლი, შეკრთა ღრუბელი, - წავიდა ზღაზვნით და ცის კიდურზე გაწვა, ვით ავი, შხამკბილა გველი. მთამ გადიბერტყა საღამოს ბინდი, ტყემ გაიღვიძა, დაიშრიალა, მოსწყდა ნიავი და გაიტაცა სურნელოვანი ტკბილი ფიალა. მეჯლისობს ღამე გაზაფხულისა, ვიდრე ზამთარი გულს შეუხუთავს, წკრიალებს სიმი სიყვარულისა, ვიდრე ზამთარი მას ცრემლს დაურთავს. მაგრამ ზამთარსა კვლავ გაზაფხული შესცვლის, მერცხალი ჭიკჭიკით მოვა, მხოლოდ ნაღველი, ჩვენი ნაღველი საუკუნოა, სამუდამოა!

ეჰ, რისთვის ხარობს ასე ბუნება?! ხანდისხან ღიმი ჩვენც გვიკრთის ტუჩზე, მაგრამ ეს მწარე დაცინებაა გულის წიაღში ცრემლის ჩუხჩუხზე! ასე ბულბული გადამჭკნარს ბუჩქზე ხშირადა მღერის მოტყუებული და რა დახედავს შტოს გაცრეცილსა, თავს ჰკიდებს, რჩება დაღონებული; მაგრამ ის სხვა ვარდს შოულობს კვალად, მას გაზაფხული კიდევ მოუვა, მხოლოდ ნაღველი, მწარე ნაღველი საუკუნოა, სამუდამოა! სამხრეთისაკენ ჩადის მრავალი, სასწორმაც იქით გადაიწია; ქრება ვარსკვლავი, მისდევს მეორე, აწ განთიადმაც ამოიწია. მთვარეს უქრება ოქროს საშუქი, თითქო სულთმობრძავს ელევა ფერი; აღმოსავლეთით იღება კარი, მოსცურავს სხივი პირმშვენიერი. ჩრდილოეთიდან დაჰბერა სიომ, მთა შეიბერტყა, ასწია თავი და ლაჟვარდ ცაში დროშა გაშლილი მზემ შეაცურა ამაყი ნავი.

გათენდა დილა, დღე გადიშალა, სადღაც ჩამოჰკრეს ცისკარის ზარი, მოკვდა წყვილი, გარდაიცვალა და ახმაურდა კვლავ მთა და ბარი. მაგრამ სალამო კვლავ გაცოცხლდება, პირბადრი მთვარე კიდევ ამოვა, სიკვდილ-სიცოცხლე სცვლიან ერთმანეთს, მხოლოდ ნაღველი... სამუდამოა!

1904 წ.

### ახალი წელი

ახალი წელი და სევდა ძველი, ისევ სიმწარე, ისევ ნაღველი. ახალი წელი, უღელი ძველი, კვლავ ხალხის ქედზე მტარვალის ხელი!

წარსულის კვალი სისხლით ნაღები იმედს თან მიაქვს მომავალშიაც. იგივე ბრძოლა, ცხოვრების თრთოლა კვლავად მოგველის ჩვენ ახალშიაც.

დღეს ვერ აღვწახვავთ გამზადებულ მსხვერპლთ, მაშ, მოვიგონოთ შეწირულები თავისუფლების ბაირადის ქვეშ, ხალხის კალთაზე გაგმირულები!

ჩუ! ამ წყვილიაღში, მიწის წიაღში საფლავი საფლავს ეჩურჩულება: ძმავ-მეგობარო, აქ სამარეშიც ხალხის ქვითინი კვლავ გვეყურება!

გესმის ბარს სცემენ ჩვენსა სამარეს, გახლართულ თოკით მართავენ ბოდსა, ქურუმი ჯვარით, ჯალათი ნიღბით ზედ ალურსმავენ კვლავ იესოსა!

გესმის ჩხარუნი, ეს რკინა არი, მიდის ბორკილი, მილაპარაკობს ის ძველ სიმღერას, ჩვენ გულის ძგერას ტყვეობაშიაც მოსთქვამს და ამბობს!

და შენც ნუ სტირი, ჩვენო მშობელო, ძაძით მოსილი ამ ახალ წელსა, შვილებათ ძმები შენ დაგიტოვეთ, და ძმებად დარჩნენ იგინი დებსა!

ჩუ! ამ წყვილიაღში, მიწის წიაღში კვლავად მართავენ წამების ბოდსა, ქურუმი ჯვარით, მტარვალის ნიღბით ზედ ალურსმავენ კვლავ იესოსა!

ისმის ჩხარუნი, ეს რკინა არის, მიდის ბორკილი, მილაპარაკობს ის ძველ სიმღერას, ჩვენ გულის ძგერას ტყვეობაშიაც მოსთქვამს და ამბობს!

- საით, ძმობილო? - იქით, საითაც კიდევ მოგელით მამული შვილებს, ჩვენ ვივლით ასე მუდამ სიმღერით, ვიდრე მთა-ბარი არ გაიღვიძებს. დიახ, ახალი, ახალი წელი, მაგრამ გზა იგივე გულდასაწველი, ახალი წელი, ახალი წელი და გოლგოთა კი კვლავ ძველისძველი!

1909 წ.

#### პირსისხლიანო ყორანო

- პირსისხლიანო ყორანო, დუშმანო ოხერ-მკვდრებისა, საიდან მოხვალ? მიაბე ამბავი საფლავებისა. - გეტყვი, გიამბობ: იქ ვიყავ, სად მტკვარს არაგვი ეხვევა, ალაზანს გული უგმინავს, რიონი ჭალებს ერხევა. კაი რამ არის ქვეყანა, ედემზე უკეთესია, კაემნის ბულბული მღერის, სევდის ვარდები სთესია. იქ იალბუზის მკერდიდან წყარო რამ ჟვენავს ტინისა: - ამბობენ, ვითომც ცრემლია უწინდელ გმირთა-გმირისა. დღისით მზე ხიშტზე თამაშობს, ღამე - კოცონი ანთია, ალში შეხვეულ სოფლებსა სისხლის ტბა გაუნათია!.. - პირსისხლიანო ყორანო, დუშმანო ოხერ-მკვდრებისა, ეგ ხომ ჩემია სამშობლო, სისხლიც ჩემ მოძმეებისა! - თვალეbs გიქებენ საკორტნათ, ჰკვდები ციმბირის ველზედა... შენი სამშობლოც ჩემია, ბუდეს ვსდგამ იმის მკერდზედა!... ეს ჩამომყეფა ყორანმა, გული წაიღო ნაღველმა... მუქარაც ვერ ვსთქვი - სამშობლოს მხდალი შვილების მნახველმა...

1911 წ.

#### მეტეხის ციხე

მტკვარი ტალღას სცემს, მტკვარი შრიალებს, მტკვარი ქაფს ისვრის, კლდეს ესხურება, ზვირთის ფაფარზე ზვირთს ათამაშებს, მიდის

ქვეითკენ, მიეშურება. მიეშურება, თანაც ღიღინებს და ეს სიმღერა მთის სიმღერაა, ტალღათ ტყლაშუნი, ბარათ რო ისმის, მთებში დაკრული ჩანგის ჟღერაა. იმღერე, მტკვარო, მთვარე დაგხარის, მეტეხის კუბოც გისმენს სიმღერას, იმღერე, მტკვარო, მეტეხის კონცხთან, უფრო უმატე შენს ჰოროველას. ასე მეურმე ღიღინებს ხოლმე, გაჭიმულია წინ დიდი შარაგზის ნაპირზე კი სთვლემავს საფლავი, ტიალ მინდორზე ვიღაც მომკვდარა. იმღერე, მტკვარო, მხოლოდ სიზმარში ჩვენცა ვცოცხლდებით, სული დაფრინავს, აღარ ჟღარუნებს რკინის ბორკილი, მას ჩვენ მკლავებზე მშვიდათა სძინავს. თვითონ დემონი აქ ყოველდამე მოდის სიმღერით, მოეშურება, ხარხარებს, თითქო მეხი მეხს მოხვდა, ხან-კი ხმატკბილად გვეჩურჩულება. იმღერე, მტკვარო, მოვა ჯალათი და შენს ნაპირზე დაიბანს ხელებს, იმღერე, მტკვარო, თუ ტალღა შედგა, ჩვენი მეტეხი სისხლს მოგაშველებს. შენს ტკბილ საუბარს ვიცი ყურს უგდებს, ოქროს აკვანში გაზრდილი შვილი. დაუკარ მისთვის, დაიღიღინე,

მორთე ვარდებით მის შვება-ძილი. დაუკარ მისთვის, დაიღიღინე, ისიც აგყვება, ისიც მოგცემს ბანს და ვით პილატე ჯალათის გვერდზე, ისიც გულგრილად ხელს გადაიბანს. მტკვარო შრიალავ, შენსა კიდეზე რაინდი სატრფოს მოელოდება; რა ხელს გადაჰხვევს, გულში ჩაიკრავს. ისიც შენსავით აღიღინდება! ბედნიერთ ჩანგო, დაუკარ ტკბილად, შენი სიმღერა მათ გაახარებს, აქ, მეტეხში კი ცასთან გამწყრალი დემონი მქუშად გადიხარხარებს.

1910 წ.

\*\*\*

ლამაზმა ქალმა ღიმილით თვალს გამიყარა თვალია, გულს რაღამც გამიწკრიალა, თითქოს ჩონგურის ძალია! შორით მცქერალმა შორს მყოფსა მომიდვა ცეცხლის ალია, არ მიმიკარა ახლოსა, ასე დამწვა და დამლია... ლამაზო ქალო, აგრეთამც არ მოგეშლება ქალობა, თავზედ

გვირგვინი გელისვის, მაზლ-დედამთილის რძალობა, ნუ მომკლავ  
დედის ერთასა, მომხედე, მიყავ წყალობა!

1895 წ.

\*\*\*

რას შესცქერ, ძმაო, ფანჯარაში მდიდრის ქულაჯას, არა ჰგავს განა კონკათ  
ქცეულს შენ ძველ ფარაჯას? შენ გააკეთე, შენ შეჰქმენი, ძმაო, ეგ ფარჩა,  
მაგრამ რაღაცა მანქანებით შენ კი არ დაგრჩა! ის სხვამ წაიღო, შენ  
გარგუნეს ეგ კონკის ძველა, ასე რათ ჰხდება?! ჰკითხე შენ თავს მაინც  
ერთხელა!

1895 წ.

## მუშა

მე დავიბადე ძველს წნულის ქოხში, ლერწამი იყო ჩემი აკვანი, ზევიდამ ჩვარი ძლივსა მფარავდა, სიცივით კრთოდა შიშველი კანი. დედის ნანასა ქარი სისინით ქოხს შემოჭრილი ბანსა აძლევდა, და ჩემი გული იმა ხმაზედა გამოურკვეველ შიშითა კრთოდა. ოხ, ეხლაც მახსოვს ის გლოვის ნანა ქარის სისინთან შეერთებული და წინათგრძნობა არ მატყუებდა, როცა პატარას მიკრთოდა გული! თურმე იმ ხმაში გამოითქმოდა ჩემ და ჩემებრივ მაშვრალთა ბედი:წამოვიზარდე, რკინის უღელ ქვეშ მომახრევიანა ცხოვრებამ ქედი. და ეხლა, როცა ვინმე ბატონსა უპოხიერებ ოფლით მამულსა, იგივე ნანა იდუმალი ხმით, მესმის და მიკლავს დამაშვრალ გულსა!

1896 წ.

## მეგობრებს

მეგობრებო, წინ... წინ გასწით, ნუ შედრკება თქვენი გული, დე, მკერდს სისხლის დადი აჩნდეს და შუბლს ოფლის ნაკადული!

წინ, წინ, მედგრათ შევებრძოლოთ ჩარხუკულმართ ამ ჩვენ დროსა, ჭირის ოფლში გავატაროთ სიმართლის და ძმობის დროშა!

დეე, ჩვენ ტოლთ, უგვანო შვილთ, კერპის წინა ხარონ ქედი, ფუ, იმ ვაჟკაცს, ვინც ინატროს მათი სვე და მათი ბედი!დე, ისევ მათ ავარჯიშონ საქვემძრომით მკლავი, ენა, სხვა აკვნესონ და ამ კვნესით თვით იპოვონ შვება-ლხენა..

მომავალი იმათ თვის ხვედრს წარმოუძღვნის, დასდებს მსჯავრსა, შეაჩვენებს იმათ საფლავს სამარცხვინოს, საზიზღარსა!

მეგობრებო, ჩვენ ნუ გვინდა ამნაირი სვე და ბედი, ბრძოლა იყოს ჩვენი ლხინი, სატრფიალოთ - გულს იმედი!

მაშ, უშიშრათ შევებრძოლოთ ჩარხუკულმართ ამ ჩვენ დროსა და ჩვენ რაზმს წინ წავუმძღვაროთ სიმართლის და ძმობის დროშა!

1895 წ.

### გლეხის ფიქრები

კალოში ძნა გაიშალა, მოიქარგა ოქროს მთვარე, შიგ შეაგდეს ნიშა ხარი, უთხრეს: კარგა დაუარე. მიცუნცულობს, თან კუდს იქნევს, მისრიალებს ძნაზედ კევრი, ძირს თავთავი ისრისება, პური სცვივა შინდის ფერი, ჰოროველამ დაჰზუზუნა, მღერის პეტრე, თან შოლტს იქნევს, თუმცა ამდროს ვერ იშორებს თავის დარდებს, თავის ფიქრებს: ზამთრის სუსხში მიწა მოხნა, დაფარცხა და თესლი სთესა,სიცხი-გულას მომკა ყანა, დააბრალა მკათათვესა! ეხლა ჰლეწავს სამი ერთად: ცოლი, შვილი, თვითონ ისა, მუშაობენ, ანგარიშობს... და გამოდის პური სხვისა! “მღვდელი, ბერი, ფოსტის ფული, ტყისა მცველი, მოურავი, მამასახლისი და გზირი... ხედავს: დადნა უცებ ხვავი! რჩება მხოლოდ ისევ კალო გახროკილი, ცარიელი, მიწოლილი გვერდზე ქობი და ეს დროცა ძველისძველი! ეჰ, სამართალს მე რა ვუთხრა?! გლეხი ვარ და მწიწკნის ყველა, ასეთია, ძმაო, ჩვენი,ცხოვრება და ჰოროველა!”

1906 წ.

\*\*\*

თვით ჩემი მუზაც ვეღარ იცლის, რომ სთქვას სხვა რამე, არა გშორდება, არ გცილდება არც დღე, არც ღამე. წავა საითმე და თან მიაქვს იგივე ფიქრი, ღელავს - შენც მასთან ასდევ ტალღებს, შენც მასთან მიჰქერი! თუ გაიტაცა ის ერთ წუთით მთის ლეგა ნისლმა, ან მწუხრის სიმი იმის გულში სევდათ გაისმა; ან მხიარულობს, წინწკლებს ისვრის ჭიქა ქარვისა, მის წინ ირხევა ტკბილ დუდუკზე ტანი ალვისა; ოხ, არ გეგონოს ჩანგი ამ წუთს უმღერდეს იმათ, არა, ისა თრთის, ის შენთვის თრთის მაინც იმ ჟამად; მაგრამ მტარვალად გადვიქცევი, ბორკილს დავგრეხავ, არ დავინანებ, არ დავინდობ ჩანგს გადავტეხავ; და ავუკრძალავ თავხედ

მუზას შენს გზას, შენს სახელს. თუ წამოსცდება მყის ტუჩებზე დავაფარებ ხელს! აბა რას აქნევ ცხოვრებისგან მითელ-მოთელილს: სულს გრძნობას ლტოლვას, აღტყინებას, ფიქრსა და წადილს?! მითხარ, ვის უნდა, ვის რათ უნდა დაჭრილი გული, ვინ მოუკრიფოს მკერდის ბუჩქზე მას თაიგული! მე ფერფლიდა ვარ ცეცხლზე დამწვარ სალამურისა: მე გმინვალა ვარ - მშველის გმინვა განგმირულისა: მე ვარ ორბის ფრთა მოტეხილი, მოდუნებული, მე ვარ ვარდის ძირს მიგდებული მკვდარი ბულბული: მიტომ ვუკრძალავ თავხედ მუზას შენს გახსენებას, ამიტომ ჩანგსაც, რომ გიმღეროს - არ ვაძლევ ნებას! და მხოლოდ ერთხელ... ეს იქნება უკანასკნელი სულს ამოჰყვება სიკვდილის წუთს შენი სახელი!

1915 წ.

#### გაზაფხული

კვლავ გაზაფხული, კვლავ ია-ვარდი, კვლავ ბულბულთ სტვენა დაგვიტკობს სმენას, კვლავ სიხარული, ცეკვა, ნავარდი და კვლავ ბუნება ეძლევა ლხენას! მაგრამ ვით ვსჭვრეტდე ვარდსა და იას, ვით შევსტრფიალო მზიანსა დღესა, ვით გამახაროს უტყვთა მეჯლისმა, ოდეს გულს ჰგმირავს მეტყველთა კვნესა?

1895 წ.

## ურმული

ჰარალო, ჰარალო, ჰარალო, ჰარალო, ბიჭო გელაო, ჩინოვნიკი და ვაჭარი ჩვენ მოგვსევია ყველაო! მღვდელი უზომოდ გამძღარა, დიაკვანს დაახველაო, მამასახლისი გასუქდა, ბევრი აქვს ერბო წველაო! გზირს ქონი მოსჭარბებია, ბაჯბაჯებს ნელა-ნელაო, ჩვენთვისთვინ მუდამ მზათა აქვს იფნის მოქნილი წნელაო! ჩაფრები კარზე გვიდგანან, ჰარალო, ბიჭო გელაო, მთავრობას ფული მიაართვი, გაყიდე ჩოხის ძველაო! ბატონსაც უნდა ქეიფი, დიდი მუცელის ზელაო, მოურავს მალ-მალ მუქარით გვიგზავნის მუზმუზელაო. ჰარალო, ჰარალო, ჰარალო, ჰარალო, ბიჭო გელაო, ურმის კოფოზე ნუ ვზივართ, სხვა გზით თავს უნდა შველაო! “დუმამაც” ველარ გვიშველა, გამოუყრიათ ყველაო, მთავრობის დეპუტატთათვის უსწავლებიათ რბენაო! ჩვენ სხვას ველოდით, სხვა მოხდა, ეხლა ხომ უფრო ბნელაო, მგელი “კანონებს” გვიწერავს,

ველარ დაგვიძრავს ენაო! თოფ-ზარბაზანი, ხიშტები, მუშაობს სახჩობელაო, ცრემლის ტბა დადგა სოფელში, სისხლმა გაბანა კერაო! ეკ, ამისთანა სიცოცხლეც დასწყევლა, შეაჩვენაო; იმედი ნურავისი გვაქვს, ჩვენს თავს ვუშველოთ ჩვენაო! მტერს მტრულად გავცეთ პასუხი, ჩვენც კაცები ვართ ყველაო, ზაფხულში ნამგალს დავძახდით, ახლა სხვა უნდა “დელაო”! ჰარალო, ჰარალო, ჰარალო, ჰარალო, ბიჭო გელაო, ურმის კოფოზე ნუ ვზივართ, მებრძოლ ძმებს უნდა შველაო!

1906 წ.

## სიმღერა ტუსაღისა

მშვიდობით ჩემო სამშობლო მხარევ, მშვიდობით, მივალ დღეს, გესალმები! ველარა ნახოს ჩემმა თვალებმა შენი ლამაზი, ამაყი მთები! ველარ ვიხილო ჭალა, ტყე, ბორცვი, მთით გადმომსკდარი - ცელქი მდინარე, ველარ ვიხილო სატრფო გულისა - ყელს მიხუტული, სახე მღიმარე. მის მკერდის ნაცვლად ტანჯვის წუთებში მე თავს მივაყრდნობ

ციხის კედელსა, ცივი ბორკილი შეეფერება. მის საალერსოდ გაწვდილს ხელებსა. მოღლილს, მოქანცულს მოსასვენებლად არ დამიხვდება მკერდი დედისა

და სასთუმალად ბევრჯელ შემხვდება გვამი მეგობრის ჩემის ბედისა! ტოლ-სწორთა შორის სიმღერის ნაცვლად ჩემი ბორკილი დაიჩხარუნებს - და ხმა იმისი, ხმა შესაზარი ამიშლის ფიქრებს, ამიშლის წყლულებს... მშვიდობით ჩემო სამშობლო მხარევ, გემშვიდობები დღეს შენი შვილი! მივდივარ, ბორკილს მივარაჩხუნებ - მიტომ რომ გაძევს თვითონ ბორკილი! სამშობლო მთების ლაღო ქურციკო, შველო, ჯერანო, ირემო ტყისა! გემშვიდობებით თქვენც სხვებთან ერთად, თქვენ ხომ არ იცით ხმა ბორკილისა. მშვიდობით დაბავ, ქალაქ-სოფელო, აოხრებულო და გადამწვარო; მშვიდობით ქოხო ჩემო, ღარიბო, მშვიდობით დედავ, ჩემთვის გულმკვდარო! და თქვენ, კანჯარნო მაღალ მთებისა, მანდ რომ გამფრთხალხართ მთის ხვეულებში - თქვენღა გადარჩით, თქვენ დაიტირეთ ყორანთ ნაკორტნი ამხანაგთ ლეში! თქვენ კი, მტარვალნო მტარვალნო ჩემის აოხრებული სამშობლოსა წყევლა და კრულვა! მწამს დაგიდგებათ ჟამი ტირილის, ჟამი გლოვისა... ცოტა ვიცოცხლე და ბევრი ვნახე, ვნახე ქურუმნი გართხმულნი ძირსა; წეწვა და გლეჯა მათი მანტიის, სისხლით გასვრილი მათ პორფირისა... მივდივარ, ბორკილს მივარაჩხუნებ, მაგრამ თან მიმსდევს მასთან იმედი; მწამს საბოლოოდ, რომ ხალხს უპყრია თავისი ხვედრი, თავისი ბედი!

1910 წ.

#### გამომშვიდობება გადასახლებულისა

არც აქა მქონდა სახლი და კარი, საცა მივდივარ, არც იქ მექნება, მაგრამ სამშობლო მე გაძევებულს მომაგონდება, დამენატრება. არც აქ მქონია ტკბილი სიცოცხლე, საცა მივდივარ, არც იქ მექნება. - იქ დანაღვლებულს და დაფიქრებულს მაინც სამშობლო მომაგონდება! მომაგონდება იმისი კვნესა, ცრემლი, ვაება, მტრისა მახვილი და მათთან ერთად ვით სთქვა

პოეტმა, ძილშიც კი მწარე ამოძახილი! ვიცი შევხვდები ჩემებრ ბედში  
მყოფს ჩემს მამულიშვილს გამოძევებულს, ყინულის ველზე შორს  
ჩრდილოეთში ჩემსავ

ბედში მყოფს, ჩემებრივ ბედკრულს. ხელს გამომიწვდის და მკითხავს:  
ძმაო, მითხარ როგოა სამშობლო... ხალხი. რას ვუპასუხებ, ნუგემს რით  
მივცემ? ისევ მონობა, ისევ მათრახი, ყურში გაგვირბენს ტყვიის ზუზუნი,  
ცეცხლის კოცონი ამოვარდება და მტრის მახვილ ქვეშ დიდ და პატარას  
სისხლის ღვართქაფი, კვნესა, ვაება! იქავ კი ახლო სამშობლოს ვერაგ  
შვილთა ქეიფი ქობმახთ ნაცარზე, ცალ ხელში ყანწი მტერთან  
კლავგაბმით დაცლილი კულა მეორე მკლავზე. მშვიდობით, ჩემო  
მორთულო მონავ, ორი ზღვის ჯიღავ - კავკასიონო, შენ, ალაზანო  
დარბაისელო, და კლდის ნაფეთქო, ცელქო რიონო! მშვიდობით, ვიცი  
შენი მთა, ველი ბევრჯელ და ბევრჯელ მომაგონდება, მაგრამ შენს  
მკერდის ჩასახუტებლად მხოლოდ ოცნება გადმოფრინდება! ის  
შემოგივლის ლამაზს გარშემო, საღამოს მწუხრზე, დილის სიოზე და  
კვლავ შეკრთება, როს ნახავს ჯვარსა, ჯვარს გოლგოთისას კავკასიონზე!  
შენ რაღა გითხრა, ყვავილის ლანდო, კარგა ხანია გითხარ მშვიდობით,  
მაგრამ მე მახსოვს შენს გულზე ვარდი და ჩვენ ორივე იმას  
შევსტრფოდით.

მახსოვს მე ახლაც წყაროს წკრიალი, ჯეჯილი თითქოს ახლაც  
შრიალებს, მაგრამ ყვავილი ქარს წაუღია და ის ჭაობის გულში ტრიალებს!  
ყვავილის ლანდო, მაინც მშვიდობით და როგორც სატრფოს არ  
გეძრახება: გული ლომისა, ბუჩქი კი ჩიტის; რაწამს ყორანი დაიყეფება!  
დიახ, მშვიდობით და მოგონებაც მხოლოდ მას სტირის, იმასა ოხრავს,  
რომ ჩემი ჩანგი სამშობლოს მკერდზე ველარ იჟღერებს, ველარ დაუკრავს.

1910 წ.

#### ჩამოწყვეტილი ფოთოლი

ჩამოწყვეტილი ფოთოლი ჩამჭკნარი, კაემნიანი, მიჰქონდა ქარსა ჰაერში,

ობოლი, ობოლ-გზიანი! ქარი კვნესოდა, გმინავდა, ქარი ტიროდა, სიოდა და ფოთოლი კი ცრემლების ტალღებზე გადადიოდა! თანაც მოთქვამდა: “მშვიდობით, მშვიდობით გაზაფხულოვო, სამს დროთა შორის ვარსკვლავო, ხმელეთის თაიგულოვო! მშვიდობით, ჭალავ, მინდორო, ამწვანებულო მდელოვო, ზურმუხტის ჩანგზე სიმებო, შესაწყობ-დასამღეროვო! მშვიდობით, მთანო ნაქარგნო, მორთულნო ჭრელი კაბითა, გულ-სახსოვარო, სალო კლდევ, ამირან გმირის ამბითა! მშვიდობით, წყაროვ არშიყო, ვარდ-ზამბახის და იასი, რაკრაკავ, ჰანგის შემწყობო, ბულბულის ტია-ტიასი! გემშვიდობებით მეგობრებს, გემშვიდობებით ცრემლითა, ზამთარმა შტოზე მომწყვიტა, მომწყვიტა ბასრი ხელითა! ნამი ნალველად შემახმა, ჩამიჭკნა გული ყვავილში, ბედმა მიმუხთლა უდროვოდ მე განთიადის ძახილში! მშვიდობით, მზისა სხივებო, და გარიჟრაჟო დილისა, მივდივარ... შორ გზას გავივლი, წამლები თქვენი ჭირისა! მახსოვს და თანაც წამყვება ჩემი ლაღობა, ნავარდი; ბევრჯელ მესროლა ავბედმა მახე და რკინის ქამანდი! ბევრჯელ აუსხლტი, მაგრამ დღეს მივდივარ ჩამოწყვეტილი; გზა ნაცნობია... ბილიკი აქ არის გამოკვეთილი!.. ჩანს გაუვლიათ სხვებსაცა: ცრემლი აჩნია კვალზედა, აქა-იქ სისხლიც შემხმარა დაწყევლილ ეკალნარზედა! თითქოს ხანდიხან ხმაც მესმის ბანს მომძახიან წყობითა... შორს... შორსლა... გრგვინავს სალი კლდე, გრგვინავს, სჭექს ბობოქრობითა! ერთსა გთხოვ: როცა შტოზედა ამწვანდებიან ფოთლები; ჩამოწყვეტილსა ღეროზე, ამოფეთქდება კოკრები, გაზაფხულს პირზე ღიმილი აუძღერ-აუჟღერდება, მწუხრზე დაუკრავს ბულბული, ცისკარზე გამოთენდება, ნიავს უთხარით დამღეროს მაშინ ჩემს კუბოს ლხენითა, ჩამოწყვეტილი ფოთოლი დანამეთ დილის ცრემლითა!” ასე მოთქვამდა ფოთოლი

ჩამჭკნარი. კაემნიანი, ჩამოწყვეტილი შტოზედა და ბედუკულმართ გზიანი! ქარი კი ისევ კვნესოდა, ქარი კი ისევ სიოდა, და შორს... შორს... ცრემლის ტალღებზე ფოთოლი გადადიოდა:

1902 წ.

### გავჩუმდე?!

გავჩუმდე?! თითქო ხელთა მქონდეს მე ჩემი გული, განა თქვენ ძალგიძთ დაამშვიდოთ ზღვა აღზნებული?! მე დროს შვილი ვარ, მან გამზარდა თვის მთრთოლვარ მკერდზე და ახლა თითებს ვათამაშებ მისსავ სიმებზე. მე დროს შვილი ვარ, გამიტარა მან გულს ისარი, და ისარითვე პასუხს აძლევს მას ჩემი ქნარი! მე დროს შვილი ვარ, მან მაწოვა შხამი-სამსალა, და აღვსებული აწ ფიალა გადმოიცალა! მე დროს შვილი ვარ, მაგრამ ურჩი ჩემი მშობლისა, დავემობ მე მასში რაც ღირსია კრულვა-გმობისა! გავჩუმდე?! თითქოს ხელთა მქონდეს მე ჩემი გული, განა თქვენ ძალგიძთ დაამშვიდოთ ზღვა აღზნებული?!

1896 წ.

### ადამიანი

მამალი ყივის, თენდება ღამე, მთა თექას იხდის, ბარი - შავ ზეწარს, სამხრეთისაკენ გადადის მთვარე, თვის ოქროს სხივებს იქით იკეცავს. ნადირობიდან ბრუნდება მხეცი, თავის ბუნაგში ის დაამდება, იქ მოისვენებს, იქ მოინელებს, ვიდრე ხელახლათ დაულამდება. აჰა, ჩამოჰკრა სადღაც ცისკარმა, ხალხი იღვიძებს და იშმუშნება, სისხლის მორევში ტრიალებს ლუკმა, ისიც იქითკენ მიეშურება! გაჰშლის თვის კლანჭებს, ვინ ვის ჩაახრჩობს... ვინ უწყს, რამდენი გაითელება.

თავის ბუნაგში ზოგი მამღარი, ზოგი მშიერი გამობრუნდება! მამალი ყივის, თენდება ღამე, სამხრეთისაკენ გადადის მთვარე, ბრძოლა არ სწყდება, ისევ გრძელდება, ერთის ადგილას იჭერს მეორე! ღამე სისხლის ტბას უცქერს გუშაგი. დღისით - დაჰყურებს მას დღე მზიანი, თენდება - მხეცი სტოვებს ბრძოლის ველს, ბრძოლას აგრძელებს ადამიანი!

1908 წ.

## მუზა და მუშა

ერთია მხოლოდ იმისი ფიქრი, ერთია მისი გულის ღონება, შავი აჩრდილი უდგა მას თვალწინ მას შეუპყრია მისი გონება! იგი არ არის მხოლოდ ოცნება, მწარე ქვითინი სატრფოს უარზე, არ არი იგი გალაღებული სულისკვეთება ველად, მთა-ბარზე! არა, ამისთვის არა სცალიან, ღმერთებს დაუთმო მან სიყვარული, სხვა აჩრდილს ხედავს იმისი თვალი და სხვაგვარად სცემს იმისი გული! დე, დედამიწის ნებიერებმა ილოცონ მხოლოდ ნაზი ამური, იმას შესწირონ ბედნიერება, წმინდა ნექტარი, სუნნელ-საპკური! არა, მას თვალწინ სულ სხვა აჩრდილი უდგა - დუხჭირი თვისი ცხოვრება, და მწარე არი, ვით თვითონ იგი მისი ფიქრი და მისი გონება! უდგას თვალწინა და ზედ კითხულობს: “მუშავ, მონა ხარ შენი ოფლისა და სათამაშო გასართობელი, მიწის მასხარა, მასხარა ცისა! შენ კაცი გქვია, მაგრამ სადა გაქვს ადამიანის წმინდა უფლება, შეხედე შენს მკერდს, რა უყავ ოფლი; რისთვის და ვისთვის იგი იღვრება?! აშენებ დარბაზს - სახლი არა გაქვს, ებრძვი მიწასა - კვდები მშვიერი, ვისთვის მუშაობს ეგ შენი მკლავი და რისთვისა სცემს მკერდი ძლიერი? შეხედე ქალაქს, შეხედე სოფელს, შენ გააკეთე ეს ქანდაკება, მას შენი ოფლის ბეჭედი აზის, მას შენი სული თავზე ევლება! მაგრამ ვისია? გაქვს შენ იქ წილი?! სადა გაქვს ბინა, ცხოვრების გერო? და მაშინაც კი ცრემლები მოგდის, როს სევდიანად გსურს დაიმღერო! არ გესმის ტაში იმ დარბაზიდან, ტკბილი მუსიკა, სიცილ-ხარხარი? ბედნიერები დღეს მეჯლისობენ და მათთვის უკრავს იქ ოქროს ზარი! მაგრამ იკითხე: ვინ გამოსჭედა ეს ოქრო-ვერცხლი, - და გიპასუხებს: შენი ნაღველი, შენი სიმწარე იმათ სიცილთან გადმოიქუხებს! ადგილი არ გაქვს შენ ამ მეჯლისში, ამოეფარე ნესტიან სარდაფს, ვიდრე შიმშილი შრომის ბაზარზე არ გაგიძახებს, არ დაჰკრავს დაფდაფს! იქ შეებმები კვალად უღელში, მხოლოდ ლუკმისთვის დასჭიმავ ძარღვებს მოკვდები ასე, ვიდრე მკერდის ქვეშ ტანჯული გული სცემს და ფართხალებს! შენს ადგილს შენი შვილი დაიჭერს, იცნობს

ცხოვრების გზაზე შენს კვალსა, შეკრთება, მაგრამ გასჭიმავს უღელს, ვიდრე მოსძებნის შენთან საფლავსა!” ამას ეტყოდა აჩრდილი მუშას... ყურს უგდებს, თავი ხელს დაუყრდნია, ყურს უგდებს ჩუმად ცხოვრების ჩურჩულს, მისი ბრჭყალები გამოუცდია! დილაა... ღელავს შრომის ბაზარი,

სცემს ოქროს ტალღა, სცემს ოფლის ზვირთი, იქ მონამ კვალად წახარა ქედი და ზედ დაიდგა ცხოვრების ტვირთი! დილის სხივებმა გაითამაშეს, მათთვის ერთია მონა, ბატონი, მათთვის ერთია: იყო შენ ჭია, თუ დიდებული მეფე-პატრონი! აღმოსავლეთი წითლად ენთება, ხარობს მიდამო, ხარობს ბუნება, - ვინ გაუბედავს იმას მონობას და სხვის მონობა რა ენაღვლება! ამ დროს სინათლემ მუშის სარდაფში შემოაშუქა და აციმციმდა, წინ სხვა სურათი გამოეჭიმა, შეხედა მუშამ და გაუკვირდა! ღმერთების სწორი სილამაზითა, ნაზია, როგორც თეთრი ღრუბელი,

მთლად სიყვარული, მთლად სიხარული, ჩანგზე დასცურავს მთრთოლვარე ხელი და სიმი კვნესის, სიმი კანკალებს, მის ხმაში მღერის, თრთის გაზაფხული, ყურს უგდებს მუშა, მაგრამ მის სახე ისევ ისეა დაღონებული! “მე მუზა მქვია, - უმღერის ჩანგი, - და მოგიტანე სიმხიარულე, მოდი შეგასვა მისი ნექტარი, შენც შეიყვარე, იმხიარულე!” მუშამ შეჰხედა, ასწია თავი, გაუთამაშდა ღიმილი მწარე, და ყრუ სარდაფის კედლებსა შორის გაისმა მისი სიტყვა მქუხარე.

მუშა

- მუზავ, რა გინდა შენ ამ ადგილას, ღმერთების შვილო, აქ მუშასთანა და სიყვარულიც ჩემ დასაცინად, მითხარ, ცამ რისთვის გამოგატანა? ბედნიერების გასართობელო, შესამკობელო მათი სუფრისა, გზა არევია მაგ შენს ტკბილს ჩანგსა, მესტვირევ ოქროს დარბაზებისა! წადი იქ, სადაც ტკბილი ნექტარი კრთის სიყვარულის ფიალაშია, ეკლის მაგიერ ვარდი ჰფენია, წადი ღმერთებთან, წადი ცაშია! ვერცხლის ქურუმებს უთხარ სიმღერა, ჩანგს მოგართმევენ ოქროს სიმებით, იქ მოგიხდება ჰანგების ჟღერა, მსხვერპლიც სიყვარულს იქ შესწირევით! მაგ შენ თვალებში

სიცოცხლის ტალღა სულ სხვაფერად სცემს, სხვარიგად ღელავს, ჩანს შენი ნაზი მკერდი ბროლისა ჯერ მწარე ცრემლებს არ დაუფერავს! შენი ტკბილი ხმა ისარი არის, ჩემთვის შხამია ეგ სიყვარული, მე სულ სხვაგვარად, შენ სულ სხვაგვარად გვიცემს გრძნობა და გვიღელავს გული! შენ გაჩენილხარ სამხიარულოდ, მე, თითქოს, მხოლოდ სამგლოვიაროდ, ვხედავ, არ გჯერა, მაშ მოდი, მომყე, ცხოვრების ველი შამოვიართ!

მუზა

ნუ მირისხდები, ბედთან გამწყრალო, მე ყველასათვის ერთგვარად ვჟღერავ, ცისა და ქვეყნის მოციქული ვარ, ორთავ ერთგვარად ვმოსავ და ვფერავ! განა შენ არ ხარ ადამიანი,

შენთვისაც არის ხომ სიყვარული, შენც ხომ გაქვს გრძნობა, გიყვარს სიცოცხლე, შენც ხომ გითრთოლავს მკერდის ქვეშ გული?!

მუშა ბაღლი ყოფილხარ, შენ ჩემო მუზავ, მაშ შენ არ იცნობ, ვხედავ, ცხოვრებას, და ეგ ლამაზი შენი თვალები მთლად დაუფარავს სიამოვნებას! წამოდი ჩემთან, გაგაცნო ველი; როგორც ჩანს, ჯერ შენ ის არ გინახავს, თვით ბედნიერო, სხვაც ბედნიერად ჭრელს ოცნებაში გამოგისახავს! და წინ გაუძღვა მუშა მუზასა, ქუჩის ტალღებმა ორივე შეხვია, გრგვინავს ცხოვრება, კვნესის ვიღაცა... ცრემლი ჩანგს მოხვდა და შეარხია! ხელგამოწვდილი ლუკმას თხოულობს, გლახა შიმშელი, გლახა მშიერი, სიკვდილი უკან დასდევს დავრდომილს, მას დაუდვია თვისი ელფერი! ის წაბარბაცდა, მეორე გლახამ გადაუარა ზურგზე გუდითა, მუშამ ღუმილით ღმერთების სატრფოს მწარედ შეჰხედა და მიუთითა! უყურებს მუზა გაკვირვებული, ვერ გამოეცნო მათხოვრის სახე, ის ხომ არ იყო შეყვარებული, არ მოხვედროდა მას სატრფოს მახე! არა, მას სულ სხვა ბეჭედი აზის, თვალეზამქრალი, სხეულ მიხრწნილი, და მის სახეზე დაწერილიყო: “მხოლოდ შიმშილი, მხოლოდ შიმშილი!” - როგორ?! - განცვიფრდა აქ ცის პეპელა, -ადამიანი... ასე მშიერი?! მაშ, ვისთვის არის ცა და ქვეყანა, უცხო სამყარო, პირმშვენიერი? - ჩაფიქრდა მუზა და ჩანგს

დაჰხედა, იქ ეჭვის სიმი გაჭიმულიყო და ვარდის ყლორტის პატარა წკირა გლახის ცრემლებით დანამულიყო! წადგა ნაბიჯი: ქუჩაა შავი, ფრთა გაუშლია თვითონ ჯოჯობხეთს, ცივა, ჰქრის ქარი, ვაი და კვნესა თვით უგულო ქვას შუა გადახეთქს! - უყურე, მუზავ, უყურე, დასტკბი, ცხოვრების კევრი აქა ტრიალებს, დაუგდე ყური! - ეტყოდა მუშა; - მწარე ნაღველი გადმოთქრიალებს! არა ჰგავს განა ველს აყვავებულს, და ხავერდოვან მთასა და ბარსა.

ბულბულის წკრიალს, ბედნიერებას... შენი ჩანგიც ხომ მათ აძლევს ბანსა! ცისა და მიწის წმინდა კავშირო, შენ ჯოჯობხეთი გინახავს ცაში? იქ ვერ ნახავდი, ის მიწაზეა, ის არის მხოლოდ ჩვენ ცხოვრებაში! ეს კვნესა, ვაი - უსახლ-უკარო ბოგანო ხალხის მწარე ჩანგია და მიტომ შენი ტკბილი სიმები მათთვის ფუჭია, მეტი ბარგია! - გაწითლდა მუზა, თავი დახარა, დაჰკრა ნაოჭმა იმის სპეტაკ შუბლს, ამ დროს ვილაცამ გადიხარხარა, თვისკენ ეძახდა იგი სიყვარულს! იცნო მუზამა ეს ბედნიერი, ბევრჯელ მის ჩანგმა მას მოუღბინა, ახსოვს დარბაზი, ოქრო და ვერცხლი, ახსოვს მას სუფრა, მდიდარი ბინა! ის ყიდულობდა სიყვარულს აქა, ხან იცინოდა, ხან ვნებით თრთოდა, მისი მსხვერპლი კი თვის უბიწობას მწარე ცრემლებით ეთხოვებოდა! უყურებს მუზა, როგორა სთელავს ადამიანი წმინდა სიყვარულს, იმის მკერდზედაც გადაუშლია თვის ბაირალი ოქროსა და ფულს! ჩანგის სიმებმა ვერ მოითმინეს, შეტოკდნენ, მწარედ ჩაიქვითინეს და გაყიდული გული და გრძნობა ადამიანის მათ დაიტირეს! მუშა გაუძღვა სტუმარს დაღვრემილს, მათ წინ აკლდამამ გაალო პირი: გრგვინვა, ქუხილი მოისმოდა იქ, თითქოს სატანამ დაჰკრა საყვირი. ჩაეშვნენ ქვევით, სდულდა გენია, ათი ათასი იძვროდა ხელი, და ჭირის ოფლით იპკურებოდა იმათ გარშემო ცხოვრების ველი! ცეცხლი ვარვარებს, ტრიალებს ალი, ადის და ჩადის მთა ბუმბერაზი, აქ მონობისთვის შემოუვლიათ ირგვლივ ბორკილის რგოლი და ხაზი! იქავ ქურუმნი, ოქროს კერპები დგანან ამაყად, მათრახით ხელში, მათ წინ განრთხმულა და ისრისება ადამიანთა ურიცხვი ლეში. ვისაც აქვს ძალა, ის იქნევს მკლავსა, ზოგი ტალღებში დასუსტებულა, ბევრი მოღლილი,

მთლად მოქანცული ზვირთისგან ნაპირს გადაგდებულა! შეხუთულია ირგვლივ ჰაერი, აქვე იხშობა გრძნობა, გონება, ამასა ჰქვიან ქურუმ-კერპთა წინ ქედის წახრა და მწარე ცხოვრება! შეხედა მუზამ თვის თანამგზავრსა, შეხედა მონებს: ერთია სახე!.. და ჯოჯოხეთიც იმათთვის მხოლოდ საერთო არი, - ერთია მახე. აბა შეხედე, პირმშვენიერო: აღმოსავლეთი ვით იღებება; ნუთუ არ გინდა ჩანგი აჟღერო?.. ათასი გულიც მას ეგებება! შეუხმატკბილე მათ შენი ჰანგი, იყავი გმირი იმათთან ერთად, დე, ქარიშხალმა ძირს დასცეს კერპი, ადამიანი გადიქცეს ღმერთად! ეს ოფლიანი ათასი მკერდი, მოქნილი მკლავი ოფლში, შრომაში, მათი ნუგეში, მათი იმედი ჰპოვებს, რაც უნდა, მხოლოდ ბრძოლაში! ჩუ! აგერ სხივმაც შეითამაშა და მონამ მაღლა ასწია ქედი, ბრძოლის ხმამ დაჰკრა, დაიგანგაშა, რომ გამოსჭედოს მან თვისი ბედი! შეხედე დროშას განთიადისას, წითლად შეღებილს, ამაცს, მშვენიერს, თრთიან ღმერთები, თრთიან კერპები და თავს უხრიან მის სიძლიერეს! აი, აქ არი, თვალმშვენიერო, რასაც ოცნება მხოლოდ გიხატავს, გაავლე ჩანგი იმის სხივებში და მაშინ სიმიც სხვაგვარად დაჰკრავს. წკირამ ჩამოჰკრა ჩანგის სიმებსა, მაგრამ სულ სხვაა ახლა მისი ხმა, ჰანგი ჰაერში ჰფანტავს ცრემლებსა... ისმის გოდება და მწარე მოთქმა! ქვითინებს მუზა: “მაშ ამაოა ცა, დედამიწა, მთელი სამყარო, ამიერიდან იგი მძაგს... მაგრამ იმის მაგიერ რა შევიყვარო! რისთვის და ვისთვის ვაჟღერდი სიმებს, ოდეს სიცოცხლე ყოფილა კრული?.. გაჰქრა, წავიდა ტკბილი ოცნება და ჩანგთან კვდება თვით სიყვარული! წყეულიმც იყოს სიცრუე ცისა, ამიერიდან მისი არ მჯერა, არ მჯერა სიტყვა მე ღმერთებისა! აყვავებული ცხოვრების კერა! წავალ მე ჩემთვის... რისთვის? ან ვისთვის?.. ახლა მჯერა, რომ ვარ მეტი ბარგი და ზღვისა ტალღებს შეუერთდება გადაგდებული ეს ჩემი ჩანგი!

მუშა

შესდექი, მუზავ, შენ აქაც სცდები, ზღვა არ დამარხავს შენ ჩანგის სიმებს!... არა, შენ ჩვენთან დარჩი, იქნები... ჩვენი ცხოვრება გიძმობს, გიშვილებს! სიმხდალე არის განდეგილობა, და მონასტერი - საფლავ-

სამარე, როგორ გიყვარდეს აბა სიკვდილი, ოდეს სიცოცხლე ვერ შეიყვარე! ჩამოხსენ სიმი მაგ მშვენიერ ჩანგს, ღმერთებს გადუგდე გასართობელად, ჩვენი ცხოვრება სულ სხვას გააბამს და ხმა მქუხარე გაისმის ქვეყნად! ათრთოლდა მუზა, რწმენა, იმედი მას დაუბრუნდა; ათრთოლდა ჩანგი და ათი ათას ხმას შეუერთა მან საბრძოლველი თავისი ჰანგი! მაღლა მიცურავს წითელი დროშა, მონა ქედს იწევს, ზვირთი გუგუნებს, ცა წაგრავნილა, ცა მოღუშულა, ძირს დაუხრიათ თავები ღმერთებს!... ჟღერავს კვლავ ჩანგი, მუზა ამაყად აკვნესებს ჰანგებს, ათრთოლებს სიმებს, მიცურავს დროშა მაღლა თამამად და განთიადიც მასთან იღვიძებს!

1905 წ.

#### სიმღერა

რაც უნდ ღამე იყოს ბნელი, ცა ღრუბლებით მოიჭედოს, არსად სჩანდნენ ვარსკვლავები, მთვარემ გზა ვერ გაიკვეთოს, მაინც ველით განთიადსა, არ შედრკება ჩვენი გული, უკვე ადგა ქარიშხალი განთიადის მოციქული! დეე, რისხვით ცამ იჭექოს, ელვამ გაჰკრას არემარეს, ცა განრისხდეს დაბლა ბარზე, უგზავნიდეს ნიაღვარებს. დეე, ბუი გაჰკიოდეს, სდარაჯობდეს წყვდიად ღამეს,

გველ-ბაყაყნიც აიშალნენ და მოედვნენ არემარეს! მაინც ველით განთიადსა, განიბნევა ღამე ბნელი, მზის სხივებზე აყვავდება, შეიმკობა მთა და ველი! ველით, მაინც ველით იმას... არ შედრკება ჩვენი გული, უკვე ადგა ქარიშხალი განთიადის მოციქული!

უკვე ადგა ქარიშხალი და გრიალებს კიდი-კიდე, რომ ცას პირზე შეახიოს სუდარა და შავი რიდე! უკვე ადგა ბრაზით სავსე მამაცი და ფრთა მედგარი, რომ განთიადს გადაუხსნას მიჯაჭული კლიტით კარი! მისთვის ვმღერით ბნელაშიაც და არ დრკება ჩვენი გული, რომ ხმას გვაძლევს ქარიშხალი განთიადის მოციქული! მისთვის ვმღერით

ბნელაშიაღ. არათ გვიჩანს გულზე წყლული, რომ ბანს გვაძლევს  
ქარიშხალი განთიადის მოციქული!

1900 წ.

### ამონაკვნესი

ბედო ტიალავ, აბა რათ, რათ შემომიჩნდი ჭირათა? არ გამალაღე არ იქნა, ცრემლი მარგუნე წილათა. რა ხანი გემუდარები, არც თუ ჩამაგდე ჩირათა, ჭაბუკი წელში მომღუნე, გადამაქციე მწირათა. მითხარ: რა მოგცე - მომშორდე, თავს რათ მადგეხარ გზირათა?! ჰაუ, ტიალავ, სოფელო, ერთხელ მამღერე ტკბილათა!

1895 წ.

### მეზვრის ღიღინი

წლითი წლობამდე გიარე, ჩემო ვენახო რქიანო, გეხვეწებოდი, რომ კვირტში შედი, არ დაიგვიანო! გრწყავდი, გბარავდი, გთოხნიდი, მერქანს გიდგამდი მუხისას, მაღლა გიფრთხოვდი კაჭკაჭსა და ძირს წიწილებს კრუხისას! ვინ გინდა, მტერი არ გყავდა: სეტყვა, ნაცარი, ქარია; შენს ყლორტებს ეტანებოდა ჩვენი “კუდვარდა” ხარია! პირცმაცუნების რაღა ვსთქვა - შემოჰყურებდნენ მტევანსა, იმახდნენ: “გემრიელია, ესა სჯობია ყველასა!” აბა, რა ენაღვლებოდათ ან ნიკოს, ან და ევასა, არ დაადგებათ ყელზედა, ტკბილად უსველებს ენასა! ეხლა კი ჩემი ჯერია, მეც შემერგება ტკბილად. ჩემი ნაშრომი, ნაღვაწი მევე მერგება წილად! საწნახელს მოუღებენია, რთველი მაქვს გახურებული, იქნება გამოვიცვალო მეც ჩოხა გახუნებული!

1909 წ.

### სიმღერა ასოთამწყობისა

ჩვენ სულ ვაწყობთ ერთმანეთზე პაწაწინა ლითონ-რკინას, ზოგი აქეთ, ზოგი იქით, ზოგი კიდევ განაპირას. აარჩიე, რიგზე დადე, გააკეთე რკინის ბადე, ან-თან ბანი, გან-თან დონი და ერთმანეთს შეუფარდე. ასე

ვაწყობთ ერთმანეთზე პაწაწინა ლითონ-რკინას, ზოგი აქეთ, ზოგი იქით, ზოგსაც კიდევ განაპირას. ვერაფერი ხელობაა კუჭს ვერ აძლობს ეს ტიალი, მაგრამ რას იქ, საცა არ სჯობს, მაინც ვამბობთ: “ალა- ბალი!” აბა, ბიჭო, დატრიალდი, გააცურე ხელი მარდათ გავათავოთ ეს გაზეთი, აგვიღია საქმე ნარდათ! შუალამე გადავიდა, დატრიალდი მეტრანპაჟე, ატრიალე რკინის რგოლი, ბიჭო, მკლავი გააკაჟე! მკვდრის სუდარას სახე გვიგავს, თვალები კი გამქრალ სანთელს, ლომიც იყო, ვერ აიტან ფეხზე დგომას, ძმაო, ამდენს! ხერხემალი გამიშემდა, მუხლები მთლად მიკანკალებს, თითები სულ დამიდუნდა, ვეღარ ვშლი და ვერც ვხრი მკლავებს! ეჰ, რა ვუყოთ, “მოწინავე” დღეს გაზეთში კარგი არი, “სიმართლე” და “დამაშვრალი,” ცხელ-ცხელები სულ აქ არი. რა გგონიათ! ორიოდე ჩვენც რამ ვიცით აქა-იქა, თან ვაწყობთ და თან ვკითხულობთ, - აგერ აზრიც გაიზნიქა! დავიკვებებ: ჩვენშიც არი პოეტი და კრიტიკოსი, ვასო ვიქტორ ჰიუგოთ გვყავს და ანდრო კი არის როსი! ასე ვაწყობთ ერთმანეთზე პაწაწინა ლითონ-რკინას, ზოგი აქეთ ზოგი იქით,

ზოგი კიდევ განაპირას!

1900 წ.

## რა ვიტყვარ?

თუმც ვეღარ ვხედავ ჩემს სამშობლოს, მის ამაყ მთებსა, თუმც ვეღარ ვხედავ მისსა მდელთ, სერთა ნაქვთებსა, ვეღარც იმ ჭალას, რუ ცქრიალა რომ ჩაურბოდა, ვეღარც იმ მწვანეს, ნიავი რომ წყნარად უქროდა, და ვეღარც ჩემთა მამულიშვილთ, მამაც ოცნებით მაგრამ ყოველდღე ვიგონებ მათ, ვიგონებ სევდით, ვიგონებ სევდით და თან ვფიქრობ: მიდიან წელნი, უცხო ტომთაგან იკირწყვლიან სამშობლოს ველნი; და სამშობლო კი, საქართველო დღიდან-დღით სჭკნება, მის შვილთა ამაყ ოცნებაში ის იმარხება. მშვიდობით, ჩემო თაიგულო, მწარევე და ტკბილო, მშვიდობით, ჩემო უძილობის შავო აჩრდილო, მშვიდობით, სევდავ მოფენილო მშობლის თვალებზე, მშვიდობით, სევდავ კავკასიის მთათ მწვერვალებზე! რალა მიყვარდეს, ვინ მიყვარდეს, ვით შევიყვარო, გულს თუ დავმარხავ უიმისოთ, რას ვემთაბარო? ვიყავ ბოგანო, დღიური მუშა, ღარიბ-ღატაკი, მთლად უსახლკარო, მქონდა სამშობლო და აღარა მაქვს აღარც სამშობლო... მის მაგიერ რა ვიტყვარ?

1911 წ.

## ჩონგურზე

დავკრავ, დავძახებ ჩონგურზე; შველო, ირემო, ჯერანო, ქურციკო კლდეზე ნახტომო, გაუხედნაო მერანო; თქვენა მჯობიხართ ისევა, დარბიხართ იალაღზედა, მე კი მონა ვარ ბატონის, თოკი მაბია მკლავზედა! დავკრავ, დავძახებ ჩონგურზე, ვიტყვი: ნიავო დილისა, ფოთლების ტკბილო ჩურჩულო, ვერხვო ალაზნის პირისა: თქვენა მჯობიხართ ისევა, ხარობთ და სტკბებით გულითა, შე კი სხვის კარზე ვათენებ, ნამგალ-ცელით და გუდითა! დავკრავ, დავძახებ ჩონგურზე, ვიტყვი: რა მწარე ბედია, მეც ხომ კაცი ვარ და სხვის წინ რათ მომიხრია ქედია! შინ კერა გამციებია, სხვის კარზე დავიარები, ვწყვიტე და ვწყვიტე მაინცა, ვერ მოვიშორე ვალები! ეჰ, ამისთანა სიცოცხლეც ზედ დამიხლია

ქვისთვინა, ჩონგურო, ჩემო ჩონგურო, შენ რაღამ აგაქვითინა! მოიცა რაღაც ხმა ისმის, ცისკარიც წითლად ენთება, იმედი არი გლებ-კაცსაც, რომ ერთხელ გაუთენდება! მაშ არ გაგვიტყდეს ჩვენ გული

ჩონგურო, ტკბილო ხმიანო, ველზე გასული ბიჭები ბრძოლისთვის გვემახიანო! იქით გავსწიოთ, დავმახოთ, ჩავაწკრილოთ სიმები, ვაქოთ, ვადიდოთ ჩვენთვისა თავდადებული გმირები! ჩონგურო, ჩემო ნუგეშო, ჩონგურო, ტკბილო ხმიანო, მტერზე მისული ბიჭები, ბრძოლისთვის გვემახიანო!

1906 წ.

#### ყორნის ბრალია

დილას ყორანმა დამჩხავლა, ზედ კალოს გადმომიარა: მაშინვე თითზე ვიკბინე, შევძახე: “გაგატიალა!” ვიფიქრე, - ვიცი ფათერაკს რამეს შემამთხვევს წყეული, კარგათ არა მყავს დაცდილი შავი, შავკაბა, ეული... არ გაუვლია ერთ წუთსა, შევხედე, მოდის ომარა, ხელში უჭირავს ჩანახი, ცხენს უკიდია ტომარა. წამოიჩოქა ხვავის წინ, მკლავი მოუშვა, მოხარა, პურს ვილა ჩივის, უღმერთომ კინალამ მიწაც მოთხარა. ბაითალმანო \* ყორანო, ეს ხომ სულ შენი ბრალია, ერთხელც იქნება დაგხელო, თოფს დავაყარო ფალია, ორ ფეშხვათ გაგათავთავო, ქარს გავატანო ცალია, მეორე მურას მიუგდო, მას ვამტვრევინო ძვალა!

1895 წ.

#### დღიურს

შენთან ვსაუბრობ ყოველდღე, მესაიდუმლევ გულისა, შენა ხარ დამატკბობელი აღმფოთებული სულისა. ხშირად ცხოვრების ტალღებში დასუსტებული ბრძოლითა. შენ გიზიარებ სიმწარეს წელში მოხრილი შრომითა! ძველ ქვეყნის გველთა სისინზე გული შფოთდება, ფრანგდება,

მაგრამ ბნელეთის ასპიდებს დღიური გაუმკლავდება. მას აქეთ, რაც რომ გულს მოსწყდა სატრფო. წაიღო ტალღამა, მითელ-მოთელა ცხოვრებამ, სიცოცხლე ჩააბალღამა; მის დარდ-ვარამსაც შენ განდობ, შენ გიზიარებ, დღიურო, შენ, ჩემი გულის საოხო, ჩემო მანანავ ციურო! შენი წიალი ზოგ-ზოგან ამტყდარი ქარიშხალია, ზოგან - უმანკო სიცილი, ზოგანაც - გლოვის ზარია! სარკვე სულის და გრძნობების, წარსულის გამხსენებელი, აწმყოში ჩემი ფიქრების მიმღებო, მომსვენებელი. შენთან ვსაუბრობ ყოველდღე, მესაიდუმლევ გულისა, შენ მხოლოდ ერთადერთი ხარ

ჩამყურებელი წყლულისა!

1909 წ.

### ჩონგურს

ღამეა კაემწიანი... თვალი ვერ ხედავს ვერასა, ქარი კვნესს. ქარი სისინებს, ქარი დასტირის ბნელასა!

აქ მოდი, ჩემო ჩონგურო, ერთო ნუგეშო გულისა, მესაიდუმლევ უცვლელი, ჩამყურებელი წყლულისა!

ისევ შენ განდობ ნალველსა, ისევ შენ განდობ ყველასა: ქარი კვნესს, ქარი სისინებს, ქარი დასტირის ბნელასა!

ფიქრი... ფიქრი... და ფიქრები... არ შორდებიან გონებას, გული სევდებმა წაიღეს, სული მიეცა ღონებას!

შენ, ერთადერთო ნუგეშო, მაინც შენ განდობ ყველასა; ქარი კვნესს, ქარი ქვითინებს. ქარი დასტირის ბნელასა!

ცრემლი დავღვაროთ ორთავემ? ეს ხომ ლაჩარის წესია! თუმცა ცხოვრების მდელიოზე მეტი რა დაუთესია?! ან რა დროს ქებათ-ქებაა

გაზაფხულის და იასი, კორდებზე გალაღებული ბულბულის ტია-ტიასი! არა, ამ მწუხარ ღამეში, გარს რო მოისხა ვარდები, მაშინ, ჩონგურო, სიმწარით ხელიდან გამივარდები. არა, ისევ და ისევა, ისევ მას დავკრავ

სიმეხსა, რაც რომ სიმწარით ნალველსა შეაკრობს, გააღვიძებსა.დავკრავ:  
ღამეა მწუხარე, თვალი ვერ ხედავს ვერასა, ქარი კვნესს, ქარი ქვითინებს,

ქარი დასტირის ბნელასა!

დავკრავ: ამ მწუხარ ღამეში ისევ შენ განდობ ყველასა... ქარი კვნესს, ქარი  
ქვითინებს, ქარი დასტირის ბნელასა!

1902 წ.

### მჭედელი პეტრე

გამურულა, ოფლში ჟანგი ჩამოცურავს მის სახეზე და დილიდან  
საღამომდის, როგორც მწვადი, იწვის ცეცხლზე.ქურა ქმინავს, იბრძვის  
კვერი, გამოუწრთო რკინას პირი, მერე თახჩას შეჰყო ხელი, ჭერს უჩვენა  
ბოთლის ძირი!

“ეჰ, რა ვუყო, - ფიქრობს პეტრე, - შინ თუ ცხელა, გარეთ ჰყინავს, ჩვენი  
მღვდელიც უხედაშოთ თავის დღეში არა სწირავს”.

და კვლავ კვერი მოიმარჯვა, მირბის, ელავს ნაპერწკალი, დახეთ პეტრეს?!  
კარებიდან ვიღაც ლეჩაქს უყო თვალი!

ახლა კი ვერ მოითმინა და კვლავ ეშხით დაჰლიღინა: “ეს მეორედ კარების  
წინ ცუგრუმელამ გაირბინა!

ვითომ რაო, პეტრე რო ვარ?! ცხვირზე ხალი, ტუჩზე ხალი, ნათლიდედაც  
ლამაზი მყავს, მრგვალია ვით ფორთოხალი!

პეტრე რო ვარ, რაო ვითომ?ვინა მჯობნის, აბა ერთი, ვინც ბიჭია,  
გააკეთოს ჩემისთანა ბარ-საკვეთი!მამაჩემიც რკინას სჭედდა, უანდერძა  
კვერი პეტრეს, ვითომც დიდი განძი იყვეს, რკინას კი არ, ფულსა ჭედდეს!

როცა მოკვდა, კუბოს ფული მის ამქარმა გამოიღო. თვისი დღენი რკინას  
ჭედდა, ჩექმა უნალო წაიღო!

შვილს მომბაძა, მაგრამ რაო... პეტრე რო ვარ, ვითომ რაო?! ფულიანი და

უფულო ყველა მიწამ გამოხრაო!

მერმის უნდა დავილოცო, თუ არ მოკვდა უსტაბაში, ოსტატ პეტრეთ ჩამწერავენ, მეც კაცი ვარ, ძმავ, ჰამქარში!”

ქშინავს ქურა, იბრძვის კვერი, ილესება ოფლში ჟანგი, მღერის პეტრე, ჟღერავს გრდემლი, მისი ტურფა, მისი ჩანგი!

1898 წ.

## განთიადი

(სურათი)

განთიადია... მოდის მზე, მოდის გვირგვინი ქვეყნისა, მხრებზე ასხია სხივები პორფირი მეფეთ-მეფისა. შეკრთა ცა, მიწა შეთრთოლდა, გაქრა, გაიბნა წყვდიადი... სამოთხის კარი გაიღო და წამი დადგა დიადი... ცამ შვების ცრემლით მონამა, მიწამ დაიწყო ღიმილი, ტყემ უმეჯლიშა ნიავსა, გაისმა ჟივილ-ხივილი! ბორცვს ტალღა დაჰკრავს ზურმუხტი, მინდორს დაუქნევს ბოლოსა, ნაკეცი ნაკეცს გადასდევს, რომ მთამდინ შეაყოლოსა. შაშვი იქით ხევს ჩაფრინდა, შეუნავარდა აქეთ სერს, ეძებს და ეძებს სატრფოსა, ეძებს გულისა საყვარელს! ღულუნებს ბერი ქედანი ჭალას წასულა მწირადა, ერთხელ ისიცა ლაღობდა, ახლას განდეგილადა! მერცხალი მოუსვენარი ხან ბალახს ეკვრის, ხან წყაროს, გაუქროლ-გამოუქროლებს, რომ გული შემოინამოს. კორდს დაქვითინებს მგოსანი, დამის არშიყი, სტვენია, დაიწყო პირველ ცისკარზე, ჯერაც არ მოუსვენია! მზე კი, მზე ლაჟვარდ სივრცეში მოდის, მოაბნევს სხივებსა, ძირს ტყე-ველს გულ-მკერდს უკოცნის, მთის მწვერვალს - ბროლის მძივებსა! წამოდი, ტურფავ, დაუხვდეთ დილის განთიადს დიდებულს, ის დაუსვენოთ ძეგლათა ჩვენ ტანჯვას... ჩვენსა სიყვარულს! ის იყოს ჩვენი ნუგეში, იმედი... ძალა გულისა... მხოლოდ იმისთვის ვაჟღეროთ ჩვენც ჩანგი სიყვარულისა! ვისწრაფოთ... მისკენ ვისწრაფოთ... ვისწრაფოთ... მტრედო დილისა, მახარებელო ფრთამალო, მისი პირველი სხივისა!

განთიადია... მოდის მზე, მოდის გვირგვინი ქვეყნისა, მხრებზე ასხია სხივები, პორფირი მეფეთ-მეფისა!

1902 წ.

### მოდლილს

შენ დაიღალე, მეგობარო, მოეყრდნე ჩემს მკერდს, მე მინდა ვნახო ჩემი სახე - ეგ შენი წყლული, მხოლოდ ნუ აჰშლი მოგონებათ მწარე იარებს, უსიტყვოთ თვითონ მიგიხვდება მეგობრის გული!

ვხედავ შენს სახეს ჩამჭკნარსა და დაავადებულს, დუხჭირ ცხოვრების მათრახებსა შენს შიშველ ტანზე, მაგრამ, ეჰ, ძმაო, ვინ უწყს კიდევ რამდენი მსხვერპლი ღონე-მიხდილი დაეცემა ეკლიან გზაზე. შენ კი, დაღლილი, მეგობარო, დაჰხარე თავი, მხოლოდ ცრემლებით ნუ შეარყევ გმირის ფოლად სულს, თორე უმადლო ბევრი არი ჩვენ სამშობლოში, “ლაჩარიაო” გაიგონებ მწარე საყვედურს. უკანასკნელი ზავთი შენი მწარე სიცოცხლის მოიწამლება, აივსება შხამით და გესლით, თვით მტერს ვერაგსაც გაახარებ და გააცინებ, საფლავის პირას მოდლილ გულის ამონაკვნესით.

მოკვდი უსიტყვოთ, მოკვდი ჩუმათ, არვის უჩვენო შენი იარა, შენი ტანჯვა და შენი წყლული, და სამარეშიც თან ჩაგყვება, თან, ორი გრძნობა: მტარვალის ზიზღი, ხალხისადმი კი - სიყვარული.

1908 წ.

### ქარიშხალი

გრიანებს ქარი, გრიანებს, ასქდება არემარესა, ხან ჩამოიჭრის ბუხარში, ხან მოაწყდება კარებსა.

ცა რისხვას უთვლის დაბლა ბარს, ზღვა ერთურთს სტყორცნის ტალღებსა და ჭექა, ელვა, ქუხილი სცვლის კლდეთა გმინვას მწარესა!

სულ არ მაშინებს ქუხილი, არც მთისა რისხვა ბარზედა, არც ქარის გრიალ-სისინი და მოხეთქება კარზედა. ვიცი, რომ ბრძოლის შემდეგა მზე გამოკრთება ცაზედა და თავის სხივსა უმანკოს აათამაშებს ნამზედა.

მაშინ ბულბულიც ცრემლისწილ დაუკრავს ლხენის ხმაზედა, დაჰყეფს, დასძახებს, ჩამოჰკრავს სხვაგვარ მომართულ ჩანგზედა!

მანამდისინ კი არ მართებს ბულბულსა გულის შვებანი; აბა ვით უთხრა ავდარსა მზის შესადარი ქებანი!

1895 წ.

#### უკანასკნელი დღე სიკვდილით მისჯილისა

მზე ჩადიოდა. უკანასკნელ სხივთ დაეფერადნათ მთისა მწვერვალი, და დღეს, ვით მუშაკს, დაღლილ-დაქანცულს ეხუჭებოდა ნელ-ნელა თვალი. საპყრობილეში იჯდა ტუსალი, ვიწრო დარკინულ ფანჯარასთანა მიშტერებოდა ჩამავალს მზესა, თითქო მის სხივებს მისდევდა თანა. სახე გამხდარსა და გაყვითლებულს ეჭმუხნებოდა შუბლისა კანი, კარგა ხანია მას სადგურად აქვს ნესტიანი და ბნელი საკანი...

მთისა მწვერვალსა კანკალ-ცახცახით მოსწყდა მზის სხივი უკანასკნელი. შეკრთა ტუსალი და ჩამოვარდა იმის თვალთაგან ობოლი ცრემლი. ნეტა რა იყო, ასე უეცრივ რამ შეაშფოთა, რამ ააღელვა? მას შავმა ფიქრმა მოწყვეტილ სხივთან გულს გაურბინა, ვითარცა ელვა! და აჰა, გრძნობამ არ მოატყუა, ნელ-ნელ გაიღო რკინისა კარი, განიპო ბნელი, და ტუსალის წინ წყნარის ნაბიჯით წარსდგა მოძღვარი.

- მისმინე, ყრმაო, - უთხრა მოხუცმა, და თვითვე შეკრთა თვისსავე ხმაზე, -ხვალე ადრიან, რა გადმოდგება მზეი ბრწყინვალე ივერის მთაზე, და სხივნი მისნი გადმოშვებულნი კისკასს შეჰქმნიან დილისა ნამზე, მაშინ ჯალათნი განმზადებულნი შენ აგიყვანენ სახრჩობელაზე. აწ მოიდრიკე მუხლი ჩემ წინა, ემთხვიე, შვილო, სახარებასა, და უხილავის უფლის წინაშე მოჰყევი, შვილო, აღსარებასა. გჯერა თუ არა შენ უკვდავება,

სასუფეველი, ტანჯვა-წამება? მაშ ალიარე ცოდვანი

შენნი და გედირსება იქ ნეტარება. თვით მაცხოვარმა, ჯვარზე გაკრულმა მისცა ავაზაკს სასუფეველი, ილოცე, ყრმაო, შესთხოვე უფალს,

ახსენე, შვილო, ღვთისა სახელი. - ჰოი, მამაო! - უთხრა ტუსაღმა, და ხმა საცოდავს ყელში ჩაუწყდა, - ჩემი საქმენი, გულის ზრახვანი უფალმაც იცის და ერმაც უწყდა. რა მაქვს სათქმელი, სააღსარებო, უკვე სიკვდილი მე მომესაჯა, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ სამართალმა სწორედ გამსაჯა; მართალი არის, მე ენა მქონდა მწარე, სასტიკი, დაუნდობელი და ფარისევლთ ამა ქვეყნისა გულს უგმირავდა, ვითარცა გველი. აბა დამეწყო პირმოთნეობა, შემესხა მათთვის ქებათა ქება, მაშინ ამ ქვეყნად სახრჩობელას წილ მათებრ მხვდებოდა მეც ნეტარება. მაგრამ ცის ნიჭი მომადლებული ოქრო და ვერცხლზე არ იყიდება, ის წმიდა არის, ვით ანგელოზი და თვით ტალახშიც წმიდად დარჩება. ხალხთ ამა ქვეყნად კაცთ დასასჯელად ციხე და ხმალი მოუგონიათ და რომ სიმართლევ მოსრან, შებოჭონ, ტყვილად ფიქრობენ, ტყვილად ჰგონიათ; არ ეკიდება მას ბასრი ხმალი, ვერც

შეიპყრობენ მას ციხეშია, ვერც გაუყრიან ფეხში ბორკილებს, ვერც დააჭერენ დანას ყელშია! მაგრამ რას ვამბობ... ჰო, შენ მითხარი, რომ იმ ქვეყანას არს ნეტარება, მაგრამ, მოხუცო, იცი, რომ ჯერა მე აქ სიცოცხლე კვლავ მენატრება? არა, არ მინდა ჯერ მე სიკვდილი, მე მსურს ვიცოცხლო, ვუყურო მზესა... შენ მე მითითებ სასუფეველისკენ და აქ კი ჭაბუკს მიბნელებ დღესა. მოიგონევი ახალგაზრდობა: არვის უყვარდი, არ გყვარებია? სატრფო, დედ-მამა, ამხანაგები, შენთან შეზრდილი ძმა და დებია! მსურს მათთან დავრჩე, ჰოი, მხცოვანო, მეცა მყავს შენებრ მოხუცი მამა, მყავს გულის ტოლი, მიყვარს, ვუყვარვარ და ხვალვე უნდა შთანმთქას საფლავმა?! ოხ, რა ტკბილია ახლა სიცოცხლე! მეც მსურს ვიცოცხლო, გესმის თუ არა?! ოხ, ღმერთო, ღმერთო, რა უკუღმართად, და რა შავ-ბედად გზა დამელარა! წადი, მოხუცო და ვინაც გკითხოს, უთხარ, რომ თავი არ მოვიხარე, მხოლოდ ერთ წუთით გრძნობამ დამჭარბა და

უნებურად ცრემლი დავღვარე. დედაჩემს უთხარ... მაგრამ რას ეტყვი, მშრალი სიტყვები რა ნუგეშია? უთხარ, საფლავსა

სულ ნუ მომირთავს, თავს არ დამირგოს ვარდი და ია. სახრჩობელაზე სიკვდილ-წამება, და ყვავილები სასაფლაოზე?! კუბოში მწარედ გამეცინება, სასაცილოა, სასაცილოზე! გუშინ ციხის ძირს, შავით მოსილი ლამაზი ქალი ცრემლს რომ აფრქვევდა, ჩემი სატრფოა, იმა ცრემლებით უკანასკნელად ფიცსა მაძლევდა. იმასაც უთხარ, რომ თუ მტვრად ქცეულს კვლავ შემეძლება მე სიყვარული... აქ კი ჭაბუკმა ვერ მოითმინა და კვლავ ატირდა, აცრემლდა გული. სტირის ჭაბუკი, ჩამორბის ცრემლი, უსმენს და სტირის მასთან მოძღვარი. დამე ისწრაფის... კიდევ გათენდა და აგერ დაჰკრეს ცისკრისა ზარი. იგრძნო მოძღვარმა თავდავიწყება და მოიბრუნა გული თვისკენა, უკანასკნელად ჰსურს ნუგეში სცეს, მაგრამ რა უთხრას? დაუდგა ენა. “ილოცე, შვილო, მოემზადეო”, გულამომჯდარმა ძლივს უთხრა ესა. აუკანკალდა მოხუცს მუხლები და მიაშურა ციხის კარებსა. - “მოემზადეო”, ხა, ხა, ხა, ხა, ხა! -პასუხად მწარედ ყრმას გაეცინა, - მზე ემზადება მიწას ახაროს -მე მამზადებენ სიკვდილისთვინა!..

დიდის დიდებით მზე ამოვიდა, კისკასობს, ხარობს, ცეცხლებ ეგზნება და მისნი სხივნი გვამს უსიცოცხლოს სახრჩობელაზე ეთამაშება.

1895 წ.

ია

გაზაფხულის მოციქულო, პირლამაზო ჩემო ია, ნამის სატრფოვ, სიყვარულო, თვალ-ჟუჟუნა პაწაწია;

რათ მოგწყვიტეს, მოგაშორეს შენს სამშობლოს გულ-მოქარგულს, ძაძა რისთვის მოახვიეს კოკორ-გაშლილს შენს სიყვარულს?

“ეჰ, ნუ მკითხავ...” - მიპასუხა მე სტუმარმა უცაბედმა, ის ჩემს ციხის ფანჯარაზე მოწიწებით დადვა მტრედმა:

“ეჰ, ნუ მკითხავ, ჰკითხე ბორკილს, შენს ხელებზე გაბმულ ჯაჭვსა,

ჰკითხე კლიტეს - შენს კისერზე და ცხოვრების ქარიშხალსა;  
დიახ, ჰკითხე..." მაგრამ იას შეეცვალა უცებ ფერი და ფანჯარის რკინის  
ჩარჩოს ზედ დააკვდა მშვენიერი.

1910 წ.

### ნატვრა

ახალ წლის ღამე თენდება, ფრთებს აბარტყუნებს მამალი,  
ძილისგუდასთვის ჩემიო ყიყლიყო არის წამალი! მაგრამ არ სძინავს  
სოფელსა: თოფი გრიალებს თოფზედა, ხან ყეფით, ხანაც ღმუილით  
მურია გორავს თოვლზედა. კვამლი ცას მიიზღაზნება: ბუხარსაც  
მოუღებენია, წინ მოუცეკვავს ბეროსა, არც იმას მოუწყენია. მომილოცნია,  
- დასძახის ჩონგურს, ყველასთვის გულითა; ღმერთო, შენც გამაძლიერე  
ხარ-კამეჩ, მინდორ-ხნულითა! ღმერთო, მიცოცხლე ცოლ-შვილი,  
მოყვარე, მძახლის მძახალი; ყველამ ჩაიცვას ახალ-წელს ჩოხა და კაბა  
ახალი. ნათლიდედამაც დაზარდოს შემოდგომისთვის დედლები,  
ნათლიმამისთვის ქვევრებში ნუნუას შეგვედრები! ღმერთო და ბედო  
სოფლისავ, რაც ჭირი გადაგხვდენია, - გვაკმარე, ნულა გვიჩვენებ, თორე  
ატანა ძნელია! ცოტა რამეს გთხოვ, მისმინე: ჩემს ეზოსა და კარებში  
გზირს, მამასახლისს, ბოქაულს მოაშლევინე თარეში. ერთ რამეს კიდევ  
გავბედავ, გასაბედად კი ძნელია: "ფოჭტი" ფულებზე "ჩინოვნიკს"  
ააღებინე ხელია! კიდევ სულ ცოტას ვისურვებ: მომე ტყე-მინდორ-ველია,  
- ვხნავდე, ვთესავდე, ვბარავდე, არ დამიჭირონ ხელია. ბელელი პურით  
ამევესოს, გული სიმხიარულითა; თუ ეს ორივე მექნება რად მინდა ქისა  
ფულითა? ბოლოს ერთს კიდევ გავბედავ: გოგო რო შემომჩენია; - კაბა  
მიყიდე, მიყიდე, არ მინდა ძველისძველია!

იმდენი რამე ვიშოვო, რომ შევუსრულო წადილი, დავნიშნო,  
დავაგვირგვინო, გავმართო კაი სადილი! ღმერთო და ბედო სოფლისავ,  
გვაცხოვრე ქრისტეს სიტყვითა, ჩემი ჩონგურიც ამას გთხოვს თავის  
ალალი პირითა!

1915 წ.

### ციხეში

ფანჯარავ, ჩემო ფანჯარავ, ფანჯარავ ტუსადისაო, ხელის დადებავ, პაწიავ, ნაჭერო ლურჯის ცისაო! ფანჯარავ, რკინა-დაკრულო, ჩარჩო გაქვს დულაბისაო, მაინც არ ვფიქრობ გაქცევას, თუ გინდ რომ იყოს ხისაო! შენს იქით რგოლი მარტყია მაღალი, გალავნისაო, გარშემო ყარაულები, ხიშტები სალდათისაო! ფანჯარავ, ჩემო ფანჯარავ, სატრფო ხარ ტუსადისაო,

შენთანა ვზივარ, გულს გაყრდობ, შე მკერდო საყვარლისაო! შენც, პაწა ხელის დადებავ, ნაჭერო ლურჯის ცისაო, ოხვრა და კვნესის ხატებავ, გულმოკლულ ტუსადისაო; ქაღალდ-კალამო, საბეჭდო იმისი ფიქრებისაო; თქვენა ხართ ჩემი ერთგულნი, დამთვლელნი ცრემლებისაო. ოხერი, მაინც იწურის, თუმცა გული მაქვს ქვისაო. თქვენ გესმით მხოლოდ ქვითინი ნაწრთობი ფოლადისაო: ვაი, რა ძნელი ყოფილა ტყვეობა არწივისაო! ფანჯარავ, რკინის ფანჯარავ, ლურჯო ნაჭერო ცისაო, ჩამოვდნი, როგორც სანთელი, ფთილა ვარ კელაპტრისაო! ჯერ ცოცხალს ბედი მეწია თვალეზდახუჭულ მკვდრისაო აღარ ვარ სატრფოს მნახველი, გამგონი მისი ხმისაო. გადამავიწყდა სიგიჟე ის ჩემი ნავარდისაო, ვიცოდი ელეთმელეთი მოსეულ დუშმანისაო. ფანჯარავ, სევდის ფანჯარავ, იავ, ნაჭერო ცისაო, ჩამოვდნი, როგორც სანთელი, ფთილა ვარ კელაპტრისაო! ეხ, ერთხელ ვნახე სიმები გადმოსულ სხივებისაო, მომლხენი ვიყავ, მსმენელი მერცხლების ჟივჟივისაო! ხმა ისევ ყურში ჩამძახის, იმ ტკბილი ბუღბუღლისაო! უცებ მზეს დაჰკრა ღრუბელმა: ჩრდილია ყორნებისაო, მთიდან ღვართქაფმა იფეთქა: გმინვაა კაეშნისაო. ნეტავ თუ კიდევ გაებმის ჩანგს სიმი სხივებისაო! ფანჯარავ, რკინის ფანჯარავ, ლურჯო ნაჭერო ცისაო, ჩამოვდნი, როგორც სანთელი,

ფთილა ვარ კელაპტრისაო! ფანჯარავ, სევდის ფანჯარავ, იავ, ნაჭერო  
ცისაო, ვაი, რა ძნელი ყოფილა

ტყვეობა არწივისაო!

1911 წ.